საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1/441

ქ. თელავი

„12" „06" 2018 წ.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო - კვლევითი პროექტების დაფინანსებისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის №122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2017 წლის 10 მარტს დამტკიცებული (ოქმი №3) „სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დაფინანსების" შესახებ დებულების მე-5 და მე-6 მუხლებისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 11 ივნისის №26 საოქმო დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების მიზნით გამოცხადდეს კონკურსი;
2. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 22 ივნისიდან 2018 წლის 06 ივლისის ჩათვლით;
3. სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსებისათვის გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა განხორციელდეს 2018 წლის 10 ივლისამდე, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული „სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ“ დებულების შესაბამისად;

4. აკადემიური საბჭოს მიერ დასაფინანსებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენიდან 7 (შვიდი) დღის შემდეგ (2018 წლის 17 ივლისი) მოხდეს შერჩეული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელმძღვანელების პრეზენტაციების მოსმენა;
5. პრეზენტაციების მოსმენიდან 3 (სამი) დღის ვადაში შერჩეული და მოწონებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები გადაეცეთ რექტორის ბრძანებით მოწვეულ დარგობრივ გარე ექსპერტ(ებ)ს შესაფასებლად;
6. სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსის დაფინანსებისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში გამოიყოს 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი, რომლიდანაც პრიორიტეტული მიმართულებისათვის განისაზღვროს მაქსიმუმ 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი და დანარჩენ მიმართულებებზე მაქსიმუმ 10 000 (ათი ათასი) ლარი;
7. დასაფინანსებლად წარდგენილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს 2018 წლის 24 ივლისს;
8. საკონკურსო განაცხადის შემოტანისას კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ დოკუმენტაცია „სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად;
9. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის I კორპუსის II სართულზე №43-ე ოთახში, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე;
10. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში ნუნუ გელდიაშვილს;
11. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ.ბეჟანიშვილი) ბრძანების ასლის გადაცემა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისათვის;
12. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
13. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

უნივერსიტეტის რექტორი: /ირმა შიოშვილი/